დანართი №2

კონკურსში მონაწილეობის პირობები

ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად

მუხლი 1. კონკურსში მონაწილეობის პირობები

ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ობსერვატორიის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს (აქვე, მუხლი 2 და 3) ან საკონკურსო განცხადების წარდგენის დღის მდგომარეობით უკავია ობსერვატორიის მთავარი ან უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობები.

მუხლი 2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისათვის დადგენილი პირობები (მოთხოვნები)

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად და დამატებით პირობებს, კერძოდ:

1. აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
3. განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები, კერძოდ, 2014 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ ხუთი სტატია მაღალი (>2) იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად;
4. იცნობს ობსერვატორიის 2024–2028 წლების სამეცნიერო–კვვლევით პროგრამას;
5. იცნობს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას და შინაგანაწესს;
6. იცნობს საქართველოს კანონს „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ (I-II, IV, VI და VII თავები).

მუხლი 3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისათვის დადგენილი პირობები (მოთხოვნები)

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად და დამატებით პირობებს, კერძოდ:

1. აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. აქვს 2014 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 5 სტატია ერთზე მეტი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.
3. იცნობს ობსერვატორიის 2024–2028 წლების სამეცნიერო–კვვლევით პროგრამას;
4. იცნობს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას და შინაგანაწესს;
5. იცნობს საქართველოს კანონს „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ (I-II, IV, VI და VII თავები).